Cour
Pénale
Internationale

International
Criminal
Court

ICC-PIDS-FS-02-001/16_Kat

დაზარალებულები სასამართლოს წინაშე

ფოტო: რონი ჰავივი/VII

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სისტემის ერთ-ერთი ასპექტი მდებარეობს იმაში, რომ დაზარალებულებს გააჩნიათ უფლება პროკურორს გაუგზავნონ ინფორმაცია და მიმართონ გამოძიების დაწყების შუამდგომლობით. დაზარალებულთა მიმართებაში აგრეთვე არსებობს ორი მნიშვნელოვანი ინოვაცია. პირველად საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მართალმსაჯულობის ისტორიაში, დაზარალებულებს გააჩნიათ პროცესში მონაწილეობის, და რეპარაციების (კომპენსაციის) მოთხოვნის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ არა მხოლოდ მოწმის ჩვენების მიცემა, მათ აგრეთვე შეუძლიათ პროცესის ყველა ეტაპზე მათი აზრის და შეშფოთების გამოხატვა. დიდი ალბათობით, მათ ამისთვის დაჭირდებიან იურიდიული წარმომადგენლები სასამართლოს წინაშე. დაზარალებულები, რომლებიც სასამართლოში გამოდიან მოწმის სახით, აგრეთვე სარგებლობენ სასამართლოს მხარდაჭერით და დაცვით.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროცედურებში დაზარალებულებისთვის გათვალისწინებული ფუნქცია ემსახურება სასამართლოს განზრახვას დააკისროს პასუხისმგებლობა საერთაშორისო საზოგადოების თვალსაზრისით, ყველაზე სერიოზულ დანაშაულებებში პასუხისმგებელ პირებს. არსებობს პრინციპული კონსენსუსი იმაში, რომ ნამდვილი მართალმსაჯულობის განხორციელებისათვის აუცილებელია დაზარალებულთა ხმების მოსმენა და ზომების მიღება მათი ტანჯვის შემსუბუქებისათვის.

დაზარალებულად ითვლებიან პირები, რომლებმაც მიიღეს ზარალი სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებების ჩადენის შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული ქონება ეხება რელიგიურ, საგანმანათლებლო სახელოვნებო, სამეცნიერო ან საქველმოქმედო ორგანიზაციებს, შესაბამისი ორგანიზაციები ან დაწესებულებები

შეიძლება აგრეთვე ჩაითვალონ დაზარალებულებად სასამართლოს წინაშე. ICC-ს მოსამართლეები იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა ტიპის ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას ყოველ თითოეულ საქმეში. მაგრამ, მოსალოდნელია, რომ ამ ზარალის ტიპებში შევა ადამიანის სხეულის ფიზიკური დაზიანება; ფსიქოლოგიური ტრავმა, გამოწვეული იმ მოვლენებით, რომლებიც ამ ადამიანმა განიცადა ან რომლებსაც დაესწრო; ან მატერიალური ზარალი, ანუ ნივთების ან ქონების დაზიანება და დაკარგვა.
დაზარალებულთა მხარდასაჭერად სასამართლომ დააწესა დაზარალებულთა მონაწილეობის და რეპარაციების განყოფილება (VPRS) და დაზარალებულთა და მოწმეთა ქვედანაყოფი (VWU), ორივე სასამართლო კანცელარიის შემადგენლობაში.

VPRS-ი დაზარალებულებს ეხმარება მათი მონაწილეობის ან/და რეპარაციის შუამდგომლობების შეტანასთან დაკავშირებით. აგრეთვე განყოფილება დაზარალებულებს ეხმარება იურიდიული კონსულტაციის მიღების, და სასამართლოს წინაშე მათი იურიდიული წარმომადგენლობის ორგანიზების საკითხში. დაზარალებულთა იდენტიფიცირების, და მათთან კავშირის დამყარების მიზნით, VPRS-ი აქტიურად ამყარებს კავშირს დაზარალებულთა ჯგუფებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, და სხვა ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლო აქტიურად მუშაობს.

V W U უზრუნველყოფს მოწმეთა, სასამართლოს წინაშე გამოსულ დაზარალებულთა, და სხვა პირთა, ვინც იმყოფება რისკის ქვეშ მათ მიერ მოცემული ჩვენებების გამო, ფიზიკურ დაცვას და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. აგრეთვე, V W U ატარებს სემინარებს სასამართლოს სხვა ორგანოებისთვის და მათ ეხმარება ინფორმაციით იმის შესახებ, თუ რანაირად მათ შეუძლიათ იზრუნონ დაზარალებულთა და მოწმეთა უსაფრთხოებაზე და კეთილდღეობაზე. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება არასრულწლოვანთა, მოხუცებულების, ინვალიდების, და სექსუალური ან გენდერული დანაშაულებების დაზარალებულთა სპეციფიკურ საჭიროებებს. ქვედანაყოფი აგრეთვე ახორციელებს მოწმეთა დაცვის პროგრამებს.

მონაწილეობა

დაზარალებულთა მონაწილეობა ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

- პროკურორის ინფორმირებით მათი აზრით ჩადენილი დანაშაულებების შესახებ;
- სასამართლოს წინაშე გამოძახების შემთხვევაში, მოწმის ჩვენების მიცემით;
- იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება დაზარალებულის პირად ინტერესებს, სასამართლოს წინაშე, პროცესის ყველა ეტაპზე თავისი აზრის და შეშფოთების გამოხატვით. ეს ჩვენება უნდა იყოს ობიექტური და უნდა ესაბამებოდეს მოპასუხის დაცვის, და ობიექტური და სამართლიანი პროცესის პრინციპებს. დაზარალებულებს გააჩნიათ მონაწილეობის მიღების უფლება პროცესის საწყისი სტადიებიდან, (მაგალითად, სხდომაზე, რომელზეც პროკურორი მოსამართლეებისგან მოითხოვს გამოძიების დაწყების უფლებამოსილებას, ან როდესაც იგი სასამართლოსგან მოითხოვს ეჭვმიტანილისთვის წაყენებული ბრალდებების დადასტურებას პროცესის და აპელაციის ეტაპებზე);
- რეპარაციების მოთხოვნით. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაზარალებულებს შეუძლიათ პროცესში მონაწილეობის უფლების მოთხოვნა. ამისთვის მათ უნდა შეავსონ მონაწილეობის შუამდგომლობის სტანდარტული

ფორმა. ამ შუამდგომლობებს განიხილავს შესაბამისი მოსამართლეთა პალატა. მოსამართლეები ადგენენ, მიიღო, თუ არა ამ ადამიანმა ზარალი სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებების ჩადენის შედეგად. აგრეთვე მოსამართლეები ადგენენ, პროცედურის რომელ ეტაპზე, და რა ფორმაში დაზარალებულებს ეძლევათ მათი აზრის და შეშფოთების გამოხატვის შესაძლებლობა.

იურიდიული წარმომადგენლობა

უმეტეს შემთხვევაში, დაზარალებულთა მონაწილეობა პროცესში ხორციელდება იურიდიული წარმომადგენლის შუამავლობით. მეტწილად, დაზარალებულებს არ მოუწევთ სასამართლოს სხდომებზე დასწრება, თუ, რა თქმა უნდა, მათ სხდომაზე დასწრების სურვილი არ გააჩნიათ. მათი იურიდიული წარმომადგენელი სასამართლოს წარუდგენს მათ აზრს და შეშფოთებას. დაზარალებულებს გააჩნიათ იურიდიული წარმომადგენლის თავისუფალი ამორჩევის უფლება, იმ წინაპირობით, რომ წარმომადგენელს ექნება დიდი გამოცდილება სისხლის სამართლის ადვოკატის, მოსამართლის ან პროკურორის ფუნქციაში, და იგი თავისუფლად ფლობს სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენას (ინგლისურს, ან ფრანგულს).

აკრედიტირებული ადვოკატთა სიის შემოთავაზებით, ICC ეხმარება დაზარალებულებს მათთვის იურიდიული წარმომადგენლის ამორჩევის საკითხში. იმის მიუხედავად, რომ სასამართლოს გააჩნია შეზღუდული რესურსები იურიდიული მხარდაჭერის დაფინანსებისათვის, შესაძლოა, რომ სასამართლოს ჰქონდეს გარკვეული ფინანსური მხარდაჭერის გაწევის შესაძლებლობა. დამატებით, შესაძლოა რომ დაზარალებულთა საჯარო ადვოკატის ოფისს ჰქონდეს დაზარალებულებისთვის უფასო იურიდიული მხარდაჭერის გაწევის შესაძლებლობა.

იმ შემთხვევაში, თუ საქმეში ბევრი არსებობს დაზარალებული, შესაძლოა, რომ მოსამართლეებმა, პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, დაზარალებულებისგან მოითხოვონ საერთო იურიდიული წარმომადგენლის, ან წარმომადგენელთა ჯგუფის შერჩევას. თუ, რაიმე მიზეზის გამო, დაზარალებულები ვერ დანიშნავენ ერთიან წარმომადგენელს, მოსამართლეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს რეგისტრატორს, რათა მან დაზარალებულებს ეს წარმომადგენელი დაუნიშნოს, და თუ დაზარალებულებს რეგისტრატორის არჩეული წარმომადგენელი არ აწყობთ, მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ამ საკითხის ხელახლა განხილვის თხოვნით.

ინფორმირება

როდესაც პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას დაზარალებულის წარმომადგენლობის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, და დაადგენს, რანაირად ეს დაზარალებული მიიღებს მონაწილეობას პროცესში, დაზარალებული იქნება ინფორმირებული პროცესის ყველა ეტაპზე განვითარებების შესახებ, მიიღებს შეტყობინებებს სხდომების განრიგის, სასამართლოს განაჩენის, და შესაძლო აპელაციების შესახებ.

რეპარაციები

დაზარალებულებს გააჩნიათ უფლება მოითხოვონ იმ ზარალისრეპარაციები,რომელიცმათმიიღესსასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებების ჩადენის შედეგად. აგრეთვე შესაძლებელია, რომ სასამართლომ საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება რეპარაციების დაკისრებაზე, იმ შემთხვევაშიც, როცა დაზარალებულებს არ შეუტანიათ რეპარაციის შუამდგომლობები. დაზარალებულები სასამართლოს წარუდგენენ შუამდგომლობებს, რის შემდეგ სასამართლო დაადგენს იქნება, თუ არა, და რა ფორმით დაკისრებული იქნება შესაბამისი რეპარაცია. სხვათა შორის, სასამართლოს შეუძლია რეპარაციების შემდეგი ფორმების დაკისრება:

- კომპენსაცია, რაც ზოგადად ნიშნავს მორალური, მატერიალური და ფიზიკური ზარალის/ზიანის ფინანსურ ანაზღაურებას. ამაში შეიძლება შედიოდეს ფიზიკური და გონებრივი ზიანის, შემოსავლის დაკარგვის, ფიზიკური ტკივილის, ტანჯვის, ემოციური სტრესის, და დაკარგული შესაძლებლობების კომპენსაცია.
- რესტიტუცია, რომლის მიზანი მდებარეობს, შეძლებისდაგვარად დაზარალებულთა ცხოვრების სიტუაციის აღდგენაში იმ მდგომარეობამდე, რომელიც არსებობდა ზარალის მიღებამდე. ამაში აგრეთვე შეიძლება შედიოდეს უძრავი ქონების აღდგენა.
- რეაბილიტაცია, რომლის მიზანი მდებარეობს იმაში, რომ დაზარალებულებს შეძლებისდაგვარად დაუბრუნდეთ მათი ცხოვრების ნორმალურად გაგრძელების უნარი. სარეაბილიტაციო პროგრამამ შეიძლება დაფაროს სამედიცინო, ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული მკურნალობის საფასური, და აგრეთვე სოციალური, იურიდიული, და სხვა სახის მომსახურება, რომელიც ესაჭიროება დაზარალებულთა კეთილდღეობის და ღირსების აღდგენას.

პროცესის ბოლოს სასამართლოს შეუძლია გასამართლებულ პიროვნებას დააკისროს, იმ დანაშაულებების დაზარალებულთა რეპარაციები, რომლებშიც იგი იქნება აღიარებული დამნაშავედ. სასამართლოს შეუძლია მიიღოს რეპარაციების გადაწყვეტილება როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე მთლიანი ჯგუფისათვის, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რას სასამართლო ჩათვლის მიზანშეწონილად კონკრეტული საქმის დაზარალებულებისათვის. ჯგუფური რეპარაციის შეღავათი მდებარეობს იმაში, რომ დახმარებას მიიღებს მთლიანი თემი, და თემის მოსახლეობის ინდივიდუალურ წევრებს მიეცემათ მათი ცხოვრების აღდგენის შესაძლებლობა. მაგალითად, შესაძლებელი იქნება დაზარალებულთა მხარდაჭერის ცენტრების გახსნა, ან სიმბოლური ზომების მიღება. აგრეთვე, ICC-ს წევრ-სახელმწიფოებმა დააარსეს მიზნობრივი ფონდი სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულებების მსხვერპლების, და მსხვერპლების ოჯახის წევრებისათვის, რათა მათ ყოველ შემთხვევაში ჰქონდეთ გარკვეული ფორმით ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა.

დაცვა და მხარდაჭერა

ICC ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები დაზარალებულთა და მოწმეთა უსაფრთხოების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის, ღირსების და კონფიდენციალობის დაცვისათვის. როდესაც დაზარალებულები გამოდიან სასამართლოს წინაშე ჩვენების მისაცემად, დაზარალებულთა და მოწმეთა აპარატი, მათი სასამართლომდე მიღწევის უზრუნველსაყოფად, ზრუნავს ადმინისტრაციულ და ლოგისტიკურ მხარდაჭერაზე, და აგრეთვე ზრუნავს იმაზე, რომ შეიქმნას სიტუაცია, სადაც გარანტირებულია მოწმის მოკრძალებული მოპყრობა, და ისიც, რომ ჩვენების მოცემა არ გამოიწვევს მოწმის ზიანის, ტანჯვის, ან ფსიქოლოგიური ტრავმის დამძიმებას. მოწმის თანმხლებ პიროვნებებს აგრეთვე აქვთ ფსიქოლოგიური, და სხვა შესაბამისი მხარდაჭერის მიღების უფლება.

ინფორმაციის გავრცელება

პროცესში მონაწილეობის მიმღებ, და რეპარაციის შუამდგომლობის შემტან დაზარალებულებთან სასამრთლოს ორგანოები კონტაქტებს წარმართავენ იმგვარად, რომ ამ კონტაქტებიდან არ წარმოიშვას დამატებითი რისკი ამ დაზარალებულებისთვის ან სხვა პირებისათვის. დაზარალებულებისგან მიღებული ინფორმაცია იქნება განხილული მკაცრად კონფიდენციალური წესით.

სასამართლოს პროცედურების თანახმად, მონაწილეობის ან რეპარაციის შუამდგომლობები უნდა იყოს გახსნილი როგორც პროკურორისთვის, აგრეთვე დაცვის მხარისათვის. მაგრამ, დაზარალებულებს გააჩნიათ უფლება სასამართლოსგან მოითხოვონ მათ მიერ მოცემული ინფორმაციის არ გავრცელება, თუ მათ ეშინიათ რომ ინფომრაციის გამჟღავნება მათთვის, ან სხვებისთვის, საფრთხეს გამოიწვევს. მათ აგრეთვე გააჩნიათ უფლება მოითხოვონ ამ ინფორმაციის პროცესის საჯარო ოქმებში არ შეტანა. მოსამართლეები მიიღებენ გადაწყვეტილებას ინფომრაციის დაცვისთვი აუცილებლობის შესახებ, და, საჭიროების შემთხვევაში, გასცემენ დაზარალებულის ან მისი იურიდიული წარმომადგენლის მიერ შემოტანილი ინფომრაციის დაცვის ბრძანებას.